შემოსავლები

აუდიტორული
პროცედურები

რეკონსილაცია

- მოიპოვეთ შემოსავლების ცხრილი

- დარწმუნდით, რომ შემოსავლები გაანალიზებული იყოს ბიზნესის კლასზე და გეოგრაფიულ ბაზარზე დაყრდნობით. დარწმუნდით, რომ შემოსავლების ანალიზი ასევე ახდენს შემდეგი საკითხების ცალკე იდენტიფიცირებას:
  - გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლები;
  - მომსახურების შესრულების შედეგად მიღებული შემოსავალი;
  - სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლები

- შეადარეთ მთავარ ცხრილში მოცემული მთლიანი ჯამი საცდელ ბალანსთან

- შეადარეთ შესადარისი მაჩვენებლები წინა პერიოდის ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებებს

შერჩევა და ანალიტიკა

- ჩაატარეთ დეტალური ანალიტიკური პროცედურები. როგორიცაა ჯამური თანხების გამოთვლა, შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი და ა.შ.
  - შეადარეთ შემოსავლები მიმდინარე პერიოდის ჭრილში (თვე, კვარტალი და ა.შ)
  - შეადარეთ შემოსავლები წინა პერიოდის მონაცემებს ჯამურად და პერიოდის ჭრილში
  - შეადარეთ მონაცემები მსგავსი სამეურნეო სუბიქეტების მონაცემებს
  - ჩაატარეთ შეფარდებით მაჩვნებლის ანალიზი როგორიცაა მაგათლითად მთლიანი მოგების კოეფიციენტი
  - ჩაატარეთ ანალიტიკური პროცედურება სხვადასხვა აგრეგირებულ შემოსავლის კლასებზე (პროდუქტი, რეგიონი, დეპარტამენტი და ა.შ.)

- გააანალიზეთ და გადაამოწმეთ ნებისმიერი მოულოდნელი ცვლილება
- განსაზღვრეთ დამატებითი ტრანზაქციების/ჯგუფების ტესტიტრების საჭიროება.

შერჩევა და ანალიტიკური პროცედურები

- განსაზღვრეთ სამუშაო არსებითობა , მეთოდოლოგიის და რისკების გათვალიწინებით.

- ყველა შერჩეული ტრანზაქციისთვის, რომელიც აღემატება სამუშაო არსებითობის ზღვარს შეამოწმეთ დამხმარე/საწყისი დოკუმენტაცია, რათა დადგინდეს მათი ვალიდობა.

- უჩვეულო ან საეჭვო ტრანზაქციის აღმოჩენის შემთხვევაში გამოიკვლიეთ და მოიპოვეთ დამატებითი მტკიცებულებები მათ ვალიდობასთან დაკავშირებით. **დაადოკუმენტირეთ** ჩატარებული პროცედური და მოპოვებული მტკიცებულებები.

- დაადგინეთ არის თუ არა საჭირო **დამატებითი შერჩევა**. დაადოკუმენტირეთ შერჩეული მიდგომა და მისი განსაზღვრის საფუძველი.

- უჩვეულო ან საჭვო შემოსავლის ტრანზაქციის აღმოჩენის შემთხვევაში განსაზღვრეთ მისი გავლენა აუდიტორულ პროცედურებზე.

შერჩეული ტრანზაქციების ტესტირება

- გაყიდვების ინვოისების შერჩეული ჯგუფისთვის/ტრანზაქციისთვის შეამოწმეთ:
  - გაყიდვის ფასები;
  - ფასდაკლებები;
  - გაყიდული საქონლის რაოდენობა/გამოთვლა და საერთო ღირებულება
- დაადასტურეთ, რომ გაყიდვების წიგნის ანგარიშზე აღრიცხული თანხაში შესულია მხოლოდ ის ტრანზაქციები რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლის აღიარების კრიტერიუმებს .
- თუ საკრედიტო ნოტები არსებითია, დაადასტურეთ, რომ ისინი სწორად არის ავტორიზებული და წარმოადგენენ მოქმედ კრედიტებს.

დროში გამიჯვნა და აღიარება

- გადაამოწმეთ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღირებული ყველა მნიშვნელოვანი შემოსავლის ტრანზაქცია, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი არ უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გაყიდვებს.

- როდესაც მომავალ მოვლენებიდან მოსალოდნელი შემოსავალი პირობითია (მაგალითად, როდესაც გადახდა ხდება მხოლოდ დადებითი შედეგის შემთხვევაში), განიხილეთ საპორტფელე ბაზაზე დადებული ხელშეკრულებების შერჩეული ჯგუფი/ტრანზაქცია, რათა დაადგინოთ, არის თუ არა მართებული შემოსავლის აღიარება.

ზოგადი პროცედურები

- დარწმუნდით, რომ შემოსავლების სააღრიცხვო პოლიტიკა IFRS-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია
- დარწმუნდით რომ აუდიტის პროცედურების დროს აღმოჩენილი სხვაობები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში
- დარწმუნდით რომ ფინანსური ანგარიშგებაში გახსნილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოთხოვნილი ყველა საჭირო ინფორმაცია
- დარწმუნდით, რომ ამ ნაწილში არსებული ძირითადი მიგნებები ასახულია ოფიციალური წერილის შაბლონში, ხელმძღვანელობის მიმართ წერილისა და აუდიტორული გარიგების პარტნიორისთვის განკუთვნილ პუნქტებში

კითხვები ?